# ფიფლ ინ ნიდ საქართველო

ბიულეტენი №8 მაისი 2019 | www.Georgia.peopleinneed.eu


## გაიცანით ადგილობრივი გმირები

### ევროკავშირის დახმარებით ყაზბეგში პირველი სტომატოლოგიური კლინიკა გაიხსნა

გაიცანით დები ყაზბეგიდან, რომლებიც თბილისში განათლების მიღების შემდეგ არა მარტო დაუბრუნდნენ საკუთარ მშობლიურ მხარეს, არამედ, ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი ყაზბეგის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის დახმარებით, ყაზბეგში პირველი სტომატოლოგიური კლინიკაც გახსნეს. შედეგად ადგილობრივებს აღარ უწევთ სტომატოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებით თბილისში გამგზავრება, რაც მათთვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა.

### ადამიანის უფლებათა ახალგაზრდა ელჩები

აქსიომაა, რომ წიგნი განათლების პროცესის განუყოფელი ნაწილია. თუმცა, დოკუმენტური ფილმებითაც შესაძლებელია ღირებული ინფორმაციის მიღება. დოკუმენტური ფილმი წარმოადგენს ემოციურად მძლავრ ინსტრუმენტს, რომელსაც შეუძლია გადაიყვანოს სტუდენტი სრულიად განსხვავებულ კულტურულ რეალობაში და გააფართოოს მისი თვალსაწიერი გლობალური საკითხების შესახებ. უკვე ექვსი წელია, რაც ქართველ ახალგაზრდებს აქვთ შესაძლებლობა შეიცნონ მსოფლიო დოკუმენტური ფილმების მეშვეობით.




### ყაზბეგის განვითარების ჯგუფი ყაზბეგისათვის!!

ყოველივე 2015 წელს დაიწყო, მაშინ, როცა ევროკავშირის მხარდაჭერით PIN-მა ყაზბეგში ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG) დააფუძნა. ოთხი წლის წინ, ეს იყო საქართველოში სოფლის განვითარებისადმი სრულიად ახლებური და ინოვაციური მიდგომა. დღეს, ამაყად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყაზბეგის განვითარების ჯგუფი აქტიურ, დამოუკიდებელ გაერთიანებას წარმოადგენს. ის მჭიდროდ თანამშრომლობს ევროპის მსგავს კავშირებთან და საფუძველს უყრის ყაზბეგის შემდგომ განვითარებას.

# f სოციალური მედია

იცოდით, რომ შეგიძლიათ თქვენი პროდუქცია გაყიდოთ ევროკავშირის ბაზარზე და შედეგად გაიორმაგოთ შემოსავალი? დაინტერესდით? იხილეთ მოკლე ვიდეო და **გააცანით ქართული პროდუქცია მსოფლიოს.**

## ბანაკი ზეთა - დაუვიწყარი ემოცია მოგზაურობის მოყვარულთათვის

მდებარეობს რა ზღვის დონიდან 2,200 მეტრზე, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელი ჯუთა საქართველოს ერთ-ერთ უმაღლეს დასახლებულ პუნქტად ითვლება. წლების მანძილზე, ჯუთა მიმზიდველ ადგილად რჩებოდა ლაშქრობის მოყვარულთათვის. თუმცა, დიდ გამოწვევას წარმოადგენდა სათანადო მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის არარსებობა. სწორედ ამ მიზეზით, ENPARD პროგრამის ფარგლებში დაფუძნებულ იქნა ბანაკი „ზეთა“, რომელიც სტუმრებს სთავაზობს მომსახურების ფართო არჩევანს, ველოტურიდან დაწყებული კლდეზე ცოცვით დამთავრებული.

## ზუგდიდში მცხოვრებ ხანდაზმულებზე ზრუნვა გრძელდება

სამი წლის წინ, PIN -მა ევროკავშირის მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში, ზუგდიდში ჩამოაყალიბა სოციალურად დაუცველ ხანდაზმულებზე მზრუნველი მობილური ჯგუფი“. პროექტი ძალზედ ეფექტური აღმოჩნდა, რადგან მან უამრავ სოციალურად დაუცველ მარტოხელა მოხუცს გაუუმჯობესა ცხოვრება. დღეს, ჩამოყალიბებიდან სამი წლის თავზე, ჯგუფმა გააფართოვა საქმიანობის სფერო და ის კვლავაც აქტიურად განაგრძობს სამეგრელოს რეგიონში მცხოვრებ ხანდაზმულთათვის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

# მედია ჩვენი საქმიანობის შესახებ

## ერთობლივი ძალისხმევით ევროკავშირის ბაზრისაკენ!!

ჩვენ ვაგრძელებთ საქართველოს მასშტაბით რეგიონული შეხვედრების გამართვას კერძო, არასამთავრობო და საჯარო სექტორის წარმომადგენლების ჩართულობით. შეხვედრები ემსახურება ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის სფეროში არსებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების განხილვას. ჩვენ ასევე ვმსჯელობთ, თუ როგორ შეუძლიათ ადგილობრივ ბიზნესებს, ფერმერებსა და ზოგადად ქართულ ოჯახებს შეთანხმებისაგან მეტი სარგებლისა და სიკეთის მიღება.

## ევროკავშირის სურსათის უვნებლობის სტანდარტები ქართველი ფერმერებისათვის

უკანასკნელი ორი წლის მანძილზე, PIN-ი ეხმარებოდა ქართველ ფერმერებს განევითარებინათ საკუთარი შესაძლებლობები ევროკავშირთან ვაჭრობის მხრივ არსებული სტანდარტების დაკმაყოფილების კუთხით. პროექტის დასასრულს კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლების ჩართულობით, ჩვენ ორგანიზება გავუწიეთ კონფერენციას „სურსათის უვნებლობის მომავალი საქართველოში“. მონაწილეებმა განიხილეს ქართული აგრო ბაზრის წინაშე არსებული გამოწვევები და დასახეს სამომავლო გეგმები.

## დოკუმენტური ფილმები და ადამიანის უფლებები, რა საერთოა ამ ორს შორის?

იცოდით, რომ დოკუმენტური ფილმები ადამიანის უფლებების სწავლების ეფექტური საშუალებაა, რომელსაც შეუძლია იყოს ცვლილებების რეალური კატალიზატორი? თუკი დაინტერესდით აღნიშნული საკითხით, მოუსმინეთ ნანა ყურაშვილს, PIN-ის პროგრამების ხელმძღვანელს რადიო თავისუფლების ეთერში.

PIN-ის სხვა ახალი ამბები იხილეთ აქ

# გულითადი მადლობა ჩვენს ძვირფას დონორებსა და პარტნიორებს

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

CZECH REPUBLIC
DEVELOPMENT COOPERATION

USAID
ამერიკელი ხალხისგან

TRANSITION
Ministry of Foreign Affairs of the Czech Republic

**People in Need - Georgia:**
15 Kikodze Str 0105 Tbilisi

(+995) 32 2 92 00 15
Georgia.peopleinneed.eu
peopleinneed.cz

People in Need - Georgia
People in Need - Official

Click here to
**UNSUBSCRIBE**